

მზე
ცეცხლის ქვაბლში
ამოდიოდა

გერანი თბილისი 1975

Г2
89ᲡᲡ.92—1—13
კ187

მხატვარი ლევან ცუცქირიძე

ყოველი ეპოქის გულისთქმა ყოველთვის იმ წიგნით ვლინდება, იმ მხატვრული ნაწარმოებით, სადაც მებრძოლი ახალთაობის ცოცხალი სულისკვეთება.

ლექსად დაწერილი ეს რომანიც ისწრაფის დახატოს დიდი სამამულო ომის დღეები, ისწრაფის, მკითხველს შეახვედროს ჩვენი ახალგაზრდობა.

იქ არა მხოლოდ ბომბდამშენების შემზარავი რისხვა და სიავე მძვინვარებდა — არამედ — მეგობრობა, სიყვარული და სინაზეც საგრძნობლად სჩანდა თვითეულ წუთის სიცოცხლეში.

ის დრო, ის თაობა იგერიებდა არა მხოლოდ მტრის შემოსევას. სართულ-სართულ ახლად აგებულ ხარაჩოებით წვდებოდა ცას. ომი ცაში იყო და როგორც არაერთხელ მითქვამს მაშინ — საზეიმოდ ახლაც ვიმეორებ:

მზე ცეცხლის კვამლში ამოდიოდა.

ᲛᲖᲔ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲥᲕᲐᲛᲚᲨᲘ ᲐᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ

რომანი ლექსად

თქვენც კარგად იცით, ჩემო კარგებო,
რომ ეს პოემა აქ არ იწყება.
იცით, ამ ცოცხალ დღის მოპოვებამ
რა მტრობა ჩაჰკლა, რა განრისხება!

იცით, ფიქრები ფიქრებს რომ ერთვის
და რომ ყოველთვის თვალი მეჭირა —
ეს, თქვენი ერთი წყვილი სარკმელ-
თბილისის ცის ქვეშ აღმომეჩინა.

ჩემი ღიმილი ღიმილს არ ჰგავდა,
შუქს მიკარგავდა მე უთქვენობა, —
ვიდრე ხარაჩო ცას არ ჩამოხსნეს,
ვიდრე არ ჩადგა მწკრივში შენობა.

ნუ დამაყვედრით თუ ჩემი ხვედრით
ვარ ანთებული, ჩემო კარგებო,
ეს ალალბედი შეკრებაც ალბათ,
საგულისხმოა და საგანგებო.

გული კარნახით არ შეიცვლება,
არ შეიძლება გულს რომ არ ენდოთ:
თითქოს რუსთველის კალმის ქვეშა ვართ —
ჩვენც ვერ ვძლებთ ხოლმე უერთმანეთოდ.

წრფელია ჩვენი მისწრაფებანიც,
ზოგჯერ აშკარა, ზოგჯერ ფარული, —
ჩვენცა გვაქვს ჩვენი დარდი უთუოდ,
ჩვენი ოცნება და სიყვარული!

ახალგაზრდებო, არ იუცხოვოთ
მზე თუ სინათლით სულს მეც ამივსებს,
ჯერ ხომ არ იცით რამ დამაფიქრა,
ჯერ ხომ არ იცით რა მახალისებს!

მოდიან თქვენი წელიწადები
და გამარჯვებას თქვენებრ ელიან, —

ახალგაზრდობას უყვარს თბილისი,
მისი ახალი მშენებელია!

ახალგაზრდობა პირისპირ შეხვდა
მტერს, ყველა დროის მტერზე უარესს,
გადათხრილ სანგრებს ხელყუმბარებით
ჩვენმა ბიჭებმაც გადაუარეს!

და ვისაც ახლა სურს თქვენი ნახვა,
უნდა გაშორდეს გამზირს თუ არა —
ვინც თქვენ ჭადრების ჩრდილში დაგეძებთ
სიტყვამრუდია და მატყუარა.

თუმცა შემთხვევა რას არ ისურვებს:
გახსოვთ? ღიმილით გამიღეთ კარი,
როცა გამზირზე მომისწრო წვიმამ
და თვითონ გახლდით ჭადრის ქვეშ მდგარი.

ვის არ უნახავს თბილისის წვიმა,
არ გადულახავს ფეხით ავდარი,
და ნიაღვარი კიბეებამდე
არ მიჰყოლია როგორც აფთარი!..

მაგრამ ეს იყო ბედი ნამდვილად
და არ შეშლია ბედს არჩევანი:
თავისიანად უნდა ჩამთვალოთ,
თუმც არც ბადრი ვარ და არც ლევანი!

გამომეგება მეც მასპინძელი
და მე ვიგრძენი ფეხს რა მიჩქარებს...
ვიგრძენი, უცებ, ოთახს კი არა —
მივადექ ახალ პოემის კარებს!

და აი, უკვე ვენდე სავარძელს,
დავიწყე თქვენი თვალიერება.
ბეჭებზე ხელის დარტყმით მიიღეთ
ავთანდილები — ტარიელებმა!

თანატოლები უზიხართ ირგვლივ
ამბავს საგმიროს და სასახელოს.
ბაასს უბრალოდ იწყებს მოამბე —
ღილი ღიმილით ახსნა საყელოს...

მან იცის, თვითონ მაისის წვიმაც
უეცარია და უცნაური —
წამით, ქალაქში ტყუილ-უბრალოდ
უყვარს ასტეხოს აურზაური...

არცაა ეგებ დასაფარავი
და არც არავინ განიცდის მძიმედ...
იელვა სადღაც, იჭექა სადღაც...
შეხვდით მასპინძელს და გადიწვიმეთ.

ვუცდი. ვუზივარ დუმილს მდუმარი
ერთი სტუმარი ახლა მეცა ვარ!

და თუ პწკარს პწკარი არ მივუწერე
ამ პოემიდან ისე ვერ წავალ!

!

დგას როიალი ფრთაშემართული,
ყრუდ მიყრდნობია მკლავით ხათუნა
და კედლის ხალზე ორთავე ნუნუ
შუქით კვლავ ერთად გადახატულა.

რა პატარაა თქვენი ოთახი,
განა ერთ მღელვარ მკერდზე მეტია —
მაგრამ გაუძლო გურამის ფიქრებს,
ზურაბის სულისთქმაც დაეტია!

და ვაჟაც, ვოლგა-დონელი ვაჟაც
სულგანაბული არის სრულიად,
დაისრულივით უზის მაგიდას,
თამბაქოს ბოლით დანისლულია!

კარგებო, ღია ფანჯრის ჩარჩოში
ცრემლშეუშრობელ ფოთლებს უყურეთ:
ცის ერთი რისხვა სიცოცხლედ ულირთ,
მზის ერთი შუქი — მთელ საუკუნედ!

ჩვენ უფრო დიდი ავდარი გვახსოვს
და უფრო დიდი გამოდარება,
შევძელით ნგრევა-შენების დროში
საბრძოლო დროშის გამოტარება.

მიყვარს მღელვარედ გავლილ დღეების
ყოველი წუთი, ყოველი ბგერა, —
თქვენს გამწყრალ თვალის ცეცხლს ვიმახსოვრებ,
თქვენი გულღია ღიმილის მჯერა!

საბედნიეროდ რაღაც განგება
მე მინარჩუნებს ახალგაზრდობას,
არ იჟანგება სიბასრე ჩემი,
ჟინით მოითხოვს კვლავაც გაწრთობას!

ვუმღეროთ ყოველ დღის გათენებას,
შემდგომ კი როცა გავსცდებით ას წელს,
მოვა სხვა ვინმე და ჩვენს ცხოვრებას
ერთ დამშვიდებულ სტრიქონით ასწერს...

მანამ იარონ, ააფრიალონ
ჩვენმა დღეებმა დროშა გმირული.
ჩემი მღელვარე სიტყვა ისმოდეს,
თქვენი — მედგარი კომკავშირული!

დადგა მშვიდობა. მშვიდობა რაა —
თუ ერთმანეთი არ გვეყვარება?!
არა... ამ ჭერქვეშ ძმობამ შეგვყარა
და არა წვიმის ნიაღვარებმა!

ღიაა ისევ წყვილი ფანჯარა,
ბნელში არ ჩანან შორი ამბები,

რტო-გაშლით ითქვამს სულს გაზაფხული
და მეც გრილ ჰაერს დავეხარბები!

ტოტებში თვლემენ ელნათურები,
ბნელს ესხურება ღიმილი სხივათ,
ნაწვიმარ ფოთლებს ნიავი არხევს
და შეუმშრალი წვეთები სცვივათ...

„— მძვინვარე ომი, — ამბობს მთხრობელი,
ამ სიჭაბუკის დასაწყისია!
თითო ჩვენგანი წიგნია თვითონ,
თითო სიცოცხლე კალმის ღირსია!“

ვზივარ... თვითეულ სახელს 'შევყურებ,
ისე, ვით ვარსკვლავს ცად მისალურსმელს, —
და ეს პირველი შემთხვევა გახლავთ,
როცა ავტორი თავის გმირს უსმენს...

I

—თქვენც კარგად იცით, ჩემო კარგებო,
როგორ გუგუნებს ქალაქი დღისით,
ღელვით გართული ჩქარი ქართულით
რას ამბობს მტკვარი, —
თქვენც კარგად იცით!

კიდით-კიდემდე მიმოგვივლია
ჩვენ ეს მტკვრისპირი
და ეს მთაწმინდა...

და ამ ხალისით, თქვენც კარგად იცით,
ჩემო კარგებო, რისი თქმაც მინდა.

ონმა თავს რისხვით გადაგვიარა,
დგომა კი არა — ბრძოლა გვარგუნა!
და გვაფრთოვანებს ახალგაზრდობა,
რომ უსახელოდ არ დაკარგულა.

ახალგაზრდობა ომში ნაწრთობი
ამ გამარჯვებით გზას არ ასრულებს, —
აუხდომელი ოცნება დარჩათ
ვაუკაცებს, ტყვიით წარბგაკაწრულებს!

არა! ჯერ ჩვენზე მეტად არავის
არ ჰყვარებია მშვიდობის წუთი,
მაგრამ თქვით აბა ქვეყნად რა არის
გულხელდაკრეფილ დუმილზე ცუდი!

ვაშა იმ ვაუკაცს, დაუმარცხებლად
ვინც კვლავ ცხოვრებას შეეჭიდება, —
დიდება ვუთხრათ ხელს აღმშენებელს,
ჩვენს დამმშვენებელ ბიჭებს დიდება!

აქ ყოველ სართულს ცაში ამართულს
და ყოველ ახალ სახლის ხარაჩოს
უყვარს ლენინის დროშის ფრიალით
ჩვენს ამომავალ მზეს უდარაჯოს!

რუხი სახლები ახლაც მტკვრისპირად
მწკრივად რომ სხედან
როგორც ფრთოსნები, —
ჭაბუკ სტალინის მგზნებარე თვალებს
კვლავ ამ ქალაქში გრძნობენ ოცნებით,

ძველი სართულიც მარმარის დაფით
ძველ მებრძოლივით ამაყობს ახლა:
ძველი ბრძოლები
მკერდს აწერია,
ახალს იმედით შეჰყურებს
მაღლა.

ვადიწმინდება ცად ნისლი დილის
მზე როცა თბილისს შემოანათებს,
შვენის ნაბდებად შენობებს ჩრდილიც,
როგორც კლდეებზე შემდგარ ტანადებს!..

და სურათები ასცდნენ ჩარჩოებს,
ვით ხარაჩოებს ჭერი სახლისა, —
დედამიწიდან ცად აიტანეს
მშვენიერება ამ სიახლისა!

დგას მოწკრიალე საჭრისით ხელში
მაღლა ჩუქურთმის ქვაზე მკვეთელი
და ამომავალ მზის სინათლეში
ახალ ჭრილს იჩენს თეთრი კედელი!

მეც აქ ვარ დილით, ჩემი გრაგნილით
ვარ აივნების ჭერზე ასული,
ჩემი შენობის გეგმა ჯერ კიდევ
ლურჯ გრაგნილზეა მიმოხაზული.

მეც აქ ვარ, სადაც
მაღალ სართულებს
რკინის ნეკნები უჩანთ ქვაშიაც...
და ჩემი სული მშენებელ ძრავის
მედგარ გუგუნში და სუნთქვაშია!

ვაშენებ თბილისს...
დიდხანს ვიყავი
ოცნებით მე ამ დღის მონატრული, —
მოწმეა კვამლით წაშლილი ზეცა
და მიწა ნალმით ფერდგაფატრული.

წყეული ქერჩის წყალი მაღრჩობდა,
ნანგრევთა მტვერიც ვსინჯე გემოთი,
ასჯერ დავეცი,
ასჯერ წამოვდექ,
რომ ისევ თბილისს დავბრუნებოდი!

და მუდამ, როცა ვხედავ ქალაქი
ომგადახდილთა ხელით შენდება, —
ჩვენ შორის ერთი ტოლ-ამხანაგი
უთუოდ უცებ გამახსენდება.

კაცი ის იყო, ფესვი მას ედგა
როგორც ერთ მედგარ მუხას ან ძელქვას,
ჩემი ძმა არის, თქვენი ძმაც იყოს,
ისე ვით მრავალს — არჩილი ერქვას...

ჩემო კარგებო, გავხედოთ თბილისს,
ვგრძნობ, ჩემი გმირიც სადღაც აქ არი,
ამ შენობათა კვარცხლბეკზე იგი
ცაში დგას, როგორც ნაქანდაკარი!

აქ ვნახე სწორედ, კვლავ თავმომწონედ
მეცხრე სართულზე როცა ავედი,
როცა ქალაქი ათასთვალება
ბზეში ბრწყინავდა ვით ვარსკვლავეთი...

ჩემი შენობის ღია სახურავს
ორმოცი ხურო როგორც კოდალა
ჩაჰკირკიტებდა, სცემდა ხელეჩოს
და სადარდელი არა მქონდა-რა! —

ცნობისმოყვარე მუშა მყავს ერთი,
იმას ვუსმენდი, ფრთხილი კაცია, —
სულ ისე დადის ფეხაკრეფილი,
იფიქრებ, ნიავს აუტაცია.

ახლაც ჩუმჩუმი ღიმით, ჩურჩულით
მოვიდა ჩემთან, თვალმოცინართან, —

მითხრა:

—ბატონო, თქვენ გკითხულობენ!—
მითხრა და უმალ გაუჩინარდა.

დილით აქ უცხო კაცს არ ველოდი,
კიბეს უგულოდ მივაპყარ თვალი.
და ამოფრინდა... კაცი კი არა —
კაბაშრიალა უცნობი ქალი!..

უცნობი-მეთქი, არა! უეცრად
მეუცნაურა მოსვლა თუ არა —
— ლალი! — შევძახე
და ჩემმა ლანდმა
ქვის კედელს თრთოლვით გადაუარა.

შეფრინვით შევხვდით
ერთმანეთს თითქმის,
და როგორც ითქმის ხოლმე, პირველად
თვალდახელშუა დავკარგეთ სიტყვა,
დავკარგეთ მართლაც გასაკვირველად.

ვუცქერდი ლალის...
ღელვას და ხალისს
ვგრძნობდი შეეპყრო ჩემი გონება,
მიმძიმდა ქალის თვალთა ციმციმთან
კვლავ განშორებულ დღის მოგონება.

იცით? რამდენი უძილო ღამე
გამითევია სინანულითა,—
მისი ფარული ღრმა სიყვარული
რომ ამომეჭრა ძალით გულიდან?

და იცით? თვალის დამწველ იერით
რა მშვენიერი ქალია ლალი?!.
მშვენიერია, მაგრამ სიშორეს
ამ შეკრთომაში არ დასდოთ ბრალი.

ბოლოს: თანდათან, მოიარებით
ვძლიე შეკრთომა დაუნდობელი,
და დავუმადლე, რომ გავახსენდი
და მოვიკითხე შორი სოფელი...

— ჩვენი სოფელი შორსაა, მაგრამ
ვით ახლობელი ქალაქს ეწვია, —
ჩემი ფიქრი და ჩემი სათქმელი
ამ დიდ გუგუნთან ერთი ბეწვია! —

თქვა მან ღიმილით და მერე თბილისს
ზეც მასთან ერთად გადავცქეროდი:
გახარებული, განახლებული
შრომით, მშვიდობით, საქართველოთი.

— ვერ მოვითმინე, მძლია სურვილმა
და აჰა, ერთი დღეც გამიცდინა,

მაგრამ... დასძინა:

— თქვენ უნდა მითხრათ,
თქვენ უნდა მითხრათ ვინ არის „ინა“.

— ინა? — შუქივით მიმოიფრინა
გონებისთვალმა ყველა მანძილი,
ვიმეორებდი: — ვინ არის ინა,
ვინ არის ინა!.. უცებ არჩილი

ჩამოდგა ისევ ჩვენს ფიქრებშორის,
მოგვეხმატკბილა და შემოგვცინა,
თითქოს დღეს იყო თერგის ნაპირზე,
თითქოს დღეს იყო, რომ ვნახე ინა.

რაღაც ქალური ყინით მალულით,
მიცდიდა ლალიც და საგანგებოდ:
სულ სხვა თვალების სხვა სიყვარული
მინდა გიამბოთ, ჩემო კარგებო!

II

ო, ისე ცისფრად გახელილ თვალებს
იცნება რაა, — გულს არ უმალვენ!
ო, იმ თვალების, იმ ვარსკვლავების
ბანამავალი გავხდი უმალვე.

და მერე რა დროს! რამ გამამართლოს
თუ უნებლიედ გზას ამაცდინა?!
ნუ დაივიწყებთ: ორმოცდაორის
ბოლო თვე იყო, ბოლო თვის დილა.

ვიდექი მარტო, მოწყენით, ჩემთვის,
თვალი მან გავლით გამკრა, ამანთო!
მერე პირიქით სულ სხვა ბილიკით
გაბრუნდა, როგორც უმისამართო...

რუხსა და უხეშ ფარაჯის კალთებს
ყმაწვილქალობა ვერ წაეშალათ
და იგი უცებ, როგორც იტყვიან,
იქცა ჩემს ფიქრად, ჩემს კაეშანად.

განა ათასჯერ მინახავს? — არა!
ის იყო მართლაც ათასში ერთი, —
მხრიდან განდაგან მხედრული ქამრით
გადაეხაზა მაღალი მკერდი.

ოდნავ დაღლილი და თავდახრილი
სასიყვარულო ყვავილად ჩანდა,
სწორედ იქ, სადაც მხოლოდ მტრობაა
და მძვინვარება მეომარ ჯართა.

დილაადრიან გზად ისე დავხვდი
არც მინატრია და არც ველოდი, —
მოცული იყო გონება ჩემი
ომით, ქარცეცხლით, დამწვარ მდელოთი!

გულდახურული ვიდექი მარტო,
მტერი კვლავ ფართო გაშლით გვიტევდა

და კავკასიის მთებთან მომწყვდეულთ
საბედისწერო დღეც გაგვითენდა.

აქ, ალალბედად შევჩერდი წამით,
და შევიჯერე გული წყაროთი,
ცეცხლის ხაზიდან წუხელ მანქანით
ძაუგისაკენ მოვიჩქაროდი.

ქედზე გადმომდგარ არტილერიის
შორით შემტევი ხმა მიტაცებდა,
მოვიჩქაროდი ჩემთვის საყვარელ
და სახელოვან ჯარისკაცებთან.

მაგრამ წაერთვა რკინასაც ღონე
და უცებ ცისქვეშ დადგა ვერანი!
ოცნი ვიყავით... განთიადამდის
შემომეფანტა ირგვლივ ყველანი.

გზადაკარგული, მიწას გაკრული
მხოლოდ სამხრეთის მთებს შევხაროდი,
ცეცხლით გადამწვარ ყანებს მოვყევი
და მოვაღწიე ყრუდ ამ წყარომდი.

ომმა, ჩანს ბედად გადმომისროლა,
თორემ შორეულს რა მსჯიდა აბა —
რომ არ მენახა სადღაც ამ დილით
ქუჩებ-ათხრილი პატარა დაბა!

რომ არ მენახა ბრმა შენობებს
კვლავ თვალბედითი მაღალი ცქერა,
არ მომესმინა სულ ეს ნაბიჯი
აჩქარებული, ვით გულის ძგერა.

ალბათ, შემთხვევა ოვით არის ძალა
და ჩვენს გულითად სწრაფვას განაგებს:
ძალით მიიყვანს
უცნობთან უცნობს,
სიტყვას აუწყობს, ალაპარაკებს!

მე ახლაც მესმის მისი ფეხის ხმა,
ისე მგონია კვლავ ჩემ წინ არი
და თვალთმაქცივით შორი მანძილით,
ვგრძნობ, შემომცქერის პირმოცინარი...

წამწამდახრილი მომიახლოვდა, —
— თქვენ ქართველი ხართ? —
მკითხა ანაზდად
და შემკრთალ ტუჩებს უხერხულობით
მახსოვს, ღიმილი აუთამაშდათ.

— დიახ, ქართველი! — მივუგე უმალ
და ყმაწვილივით მეცვალა ფერი.
ვდუმდით ორივე, მაგრამ დუმილი
მით უფრო მხნეა,
მით უფრო წრფელი.

ვდუმდით ორივე. და როცა შემდეგ
დავსწვდი მე იმის ხელს მოწიწებით,
მიყუჩდა სულმთლად და მიავიწყდა
ჩემს ტყვეობაში მყოფი თითები.

ო, იკ ჩვილსა და განაბულ თითებს.
თვით ხელისგულიც უალერსებდა,
მაგრამ ღიმილით სავსე თვალებში
მიმალულივით შევნიშნე სევდა...

ხოლო მიზეზი ვერ გამოვკითხე,
ვერ გამოვკითხე თუ რა უნდოდა
და ვით უმწეოს ჩემზე დანდობილს
ვერც შევუკარი წარბი უნდოთა.

მჯეროდა მხოლოდ: რომ არ ვეგონე
ხელაღებული ვინმე მხედარი, —
ბრძოლის ველზედაც ასეთი ვიყავ,
ასეთი მშვიდი შესახედავი.

მეტადრე სანდო სურათად ჩანდა:
გულღია ხედვა, ღია საყელო
და მოკლე თასმით საველე ჩანთა
ხელს დახვეული სახელდახელოდ...

ვიდექ. ვიცდიდი... და ბოლოს როცა
ისევ მორჩილად მკითხა:

— მენდობით? —

ვთქვი: არაფერი არ დაშავდება
თუნდაც ამ უცნობ ურთიერთობით!

[illegible] კვლავ ხელისელჩაკიდებული,
[illegible] [illegible]ერკვეულ გზის უძებნელად
[illegible]ევით ხალხით გაკრეფილ ქუჩებს,
[illegible] აუწყობელ საუბრით, ნელა...

სიჩუმე იყო და ცეცხლის ხაზიც
ერგვინვით ქვეყანას აღარ იკლებდა,
სიჩუმე იყო... მხოლოდ ხანდახან
სწორედ სიჩუმე შემაფიქრებდა.

შემაფიქრებდა შენობებშორის
ურეოლით გავლილი ნიავქარები
და მიტოვებულ სართულებიდან
სადღაც მყეფარე ღია კარები.

ეხედავდი სული არ ედგა დაბას,
და ჩვენს თავზედაც ვით ბედისწერა
გულის წამლები ზუზუნით, ცაში
წრეს აკეთებდა ჰერინგის ძერა.

III

ვიდოდით ორნი... მაცდური ჩემი,
ჩემთვის ჯერ კიდევ უცნობი ინა
ხან მოილხენდა, ხან მოიწყენდა,
ხან კი ცელქივით მისწრებდა წინა!

იყო საოცრად სათნო და ნაზი,
როგორც ვთქვი ისე
ცისფერთვალება,
კაცს კი მეტადრე სინაზით ხიბლავს
ხიფათი, იჭვი, იდუმალება...

და მე გულდასმით ვაკვირდებოდი,
ცდილობდა იგიც გაეგო ვინ ვარ...
როცა: ღრუბლებში გაწოლილ მთიდან
ბოულოდნელად გაისმა გრგვინვა.

და ცაში აღძრულ ქარტეხილივით
ჰაერის ტალღამ გადაგვიარა, —
— არაფერია! — თქვა მან ღიმილით, —
ამას ჯერ კიდევ არა ჰქვია-რა!

საცაა თერგის ჭალებშიც თეთრად
გაიშლებიან კვამლის ქულები,
ჯარები შორით ჯარებს უტევენ,
ჩვენ კი შუაგულ არც ვეგულებით!

თქვა და ჩამჭიდა საჩქაროდ ხელი,
ქვის კიბეებით ბნელში ჩავედი, —
ზეაღსდგა მართლაც გალმა-ნაპირი
აკვამლებული როგორც შავეთი.

შევდექ.
ჩემს მეგზურს შევხედე უნდოდ
და სინანულმაც გულს გამიელვა:
— როგორ მომტაცა ბონება,
როგორ, —
ვთქვი,
ვიღაც გოგომ გადამთიელმა!

რევოლვერს ხელი შევავლე ჩუმად,
და ბნელ კედლებში ბრმასავით მდგარი,
კაცი ჯერ კიდევ გზას ვერ ვიგნებდი,
როცა მან უკვე გააღო კარი!

და შემოიჭრა უცებ ნათელი,
ოთახის გულიც გაიღო ფართოდ,
ვიღაც მაღალი ვაჟკაცი იდგა
ფანჯრის ვეება ჩარჩოში მარტოდ.

იდგა ვით ურჩი და წაბლისფერი
თმაც ჩამოშლოდა წარბებზე ურჩად,
იდგა აქ, თავის მკვიდრი ბეჭებით,
კაცად კი არა— შენობის ბურჯად!

შევნიშნე უმალ: ჩემი შემოსვლით
არ იყო ნაკლებ განცვიფრებული,
მისი ტუჩ-კბილის ელვაც ვიცანი,
როგორც ნიშანი თავისებური...

და როცა თვალი თვალს გავუსწორეთ
უხმოდ, უძრავად, წარბამართულად,
დაუკითხავად უცებ ერთმანეთს
გავესაუბრეთ უკვე ქართულად.

ო, როგორ ფრთხილად ისმენდა ინა,
ღიმილი როგორ აიმედებდა, —

ვგრძნობდი ამ ჯმუხა ვაუკაცისათვის
ქალი სიცოცხლეს გაიმეტებდა!

ჩვენი ქართული თუმც არ ესმოდა,
ფიქრით გართული გვიმზერდა მხოლოდ,
უსიტყვოდ მაინც მეუბნებოდა:
„ურჩიეთ, იქნებ თქვენ დაიყოლოთ!“

მაშინლა მივხვდი, წყაროსთან იგი
რად იყო ისე გულისხმიერი,
გამოსაცნობად რისთვის იკმარა
ჩემი ქართული სახის იერი.

მივხვდი, რომ თვალწინ მდგარი უცნობი,
გადმომცქერალი ოდნავ ზემოდან,
მიცქერდა მართლაც ჩემი თვალებით,
ჩემი ტუჩ-კბილით მემსგავსებოდა!

თითქოს მას ჩემი მღელვარე ფიქრიც
ელვარე თვალის გუგაში უჯდა, —
და მე შემეძლო ინაზე უკეთ
ამომეკითხა დუმილი ტუჩთა!..

მაგრამ რა სურდა ამით უცნაურს,
რად მომიყვანა როგორც სტუმარი,
როგორ გამეგო აქ, ორცეცხლშუა
რისთვის დაედოთ თავსასთუმალი?!

ან და ვინ იყო თვით ეს დევკაცი,
ცხარე ბრძოლის დროს აქ რომ
ცდებოდა.
მკერზე ეკიდა ხელი უღონოდ,
სახეზე ალი ეკიდებოდა...

მითხრა: — დაბრძანდით, —
დამიდგა სკამი
და თითქოს კიდეც ეუხერხულა,
თითქოს ჩქარობდა, თითქოს ფარაჯაც
გავლით, ცალ ბეჭზე წამოეხურა.

გარეთ კი ამდროს
კვლავინდებურად,
მინებჩალეწილ ფანჯრების იქით —
არტილერიის შავი გრიგალი
ჰქუხდა მრისხანე ბატონის რიხით!

იწვოდა თერგის შორი ნაპირი.
— ხედავთ? დღეს უკვე
ვჯობნით ასწილად!
თქვა და ჩამოჯდა მძიმედ ლოგინზე,
თან უცნაურად ისევ დასძინა:

— მთელი არსებით ამ წუთს ველოდი,
დაიწყო! მტერი პირველად ვძლიეთ!..
და მე კი როგორც დამარცხებული
სურდათ ოთახში გამოვემწყვდიეთ!

გამოვექეცი კეთილ „განაჩენს“
და გამარჯვებით გულს ვაიმედებ,
გამოვექეცი,
რადგან მარჯვენა
ჩამოსაკვეთად ვერ გაიმეტე!

იქნებ იმედმა მეც გამიმართლოს,
თუმცა იმედი ვიცი რომ ცრუა, —
ვარ მომწყვდეული აქ ორი ცეცხლის:
სიკვდილისა და სიცოცხლის შუა...

სიცოცხლე მიყვარს!
მხოლოდ სიცოცხლე!
მღელვარე, მარჯვე, ადიდებული...
და ჩემი ყოფნა-არყოფნის ტალღებს
ვარ ორივ ხელით ჩაჭიდებული!

მაგრამ მტარვალი რა მტარვალია
ტყვია თუ მარჯვედ არ დაგიმიზნა?! —
ალმოხდა ვაუკაცს
და ჯავრით ამდროს
გაშლილი შუბლიც გადაინისლა.

დახედა ისევ თავის მარჯვენას,
და მეც ვიგრძენი რად გაბასრულა...
ჯავრი გულშივე ჩაიხშო უმალ
და გულითადი ხმით დაასრულა:

— კეთილი იყოს შეხვედრა ჩვენი,
თუმცა ერთმანეთს ვეცნობით გვიან,—
სულ ადვილია მოსაგონებლად:
ჯარისკაცი ვარ. არჩილი მქვიან.

IV

ვუსმენდი არჩილს. არჩილის დარდი
ჩემთვის თანდათან გახდა ნათელი, —
ასე ისწორებს დილით ხმელ ტოტებს
მუხა ქარიშხლით გადანათელი!

ვგრძნობდი, რომ მთელი არსებით იყო
იგი სანგრებით დათხრილ სერებთან,
იწევდა მტრისკენ ისევ და... ისევ
ხმლებით აჩეხილ თერგს იხსენებდა:

„— თერგის ნაპირზე
ვხვდებით ერთშანეთს!
უკეთესს ბედად რას ვიფიქრებდი, —
აქ უთვისტომოდ ვკვნესოდი მხოლოდ
და უკანასკნელ ღონეს ვიკრებდი.

თერგი არასდროს არ მყვარებია,
ვთვლიდი, რომ იყო ურჩი და ყბედი,
ახლა ისაა მოზარე ჩემი, —
საოცარია ვაუკაცის ბედი!

არაგვის ტალღებს რომ ვადარებდი
მთებში დაფრენილთ სასახელოთა, —
თერგი მეგონა
მთების მგმობელი:
სადღაც გარბოდა საქართველოდან!..

მაგრამ დღეს,
მრავალ ბრძოლების შემდეგ
აუგს ვერ მეტყვის თერგზე ვერავინ,
მისი ჩრდილნარის მოყვარეც გავხდი,
მისი ჩრდილნარის ხშირი მზვერავი.

და ბრმა შემთხვევამ თუმც აქ მარგუნა
ჩემი საბრძოლო გზის დასრულება.
თუმც აქ ლანდივით მდგარი მზვერავი
ბნელშიც მომძებნეს თოფის
ლულებმა,—

როცა მიწაზე დავეცი პირქვე
როგორც ხე ტოტებ-დასალეწადა, —
მე მაინც მახსოვს, ტყვიით გაგმირულს
თერგისპირამდე მისვლა მეწადა...

მეგონა: სიკვდილს სულთ
ამომშრეტელს
რომ არ წაერთვა ჩემთვის გონება —
სულ ერთი პეშვი წყალი კმაროდა,
ნუგეშის ერთი ყრუდ გაგონება.

მიწაზე გართხმით მოვედი თერგთან,
წყალს დავეწაფე თვალდახუჭული, —
გულს მომხვდა ტალღა მაცოცხლებელი,
მომესმა ტალღის ფრთხილი ჩურჩული

ისევ სიცოცხლის ძალ-ღონე მომცა,
ნეექტარად შევსვი მთების ნაჟური,
და საღიმილოდ დამირჩა მაშინ
მთებს იქით მისი ხმა გიჟმაჟური...“

(აქ ერთი წამით შედგა არჩილი,
დასტოვა თერგის ტევრი შრიალა,
ჩამქრალ ალივით შეგვავლო თვალი
და კვლავ განაგრძო კაეშნიანად:)

„— ვაი, რომ თურმე ამაოდ მეტკბო
იგი იმ ჩემთვის დამღუპველ ღამით,—

ზღელვარე სისხლი წყეულმა ტყვიამ
თურმე გველივით მოსწამლა შხამით!

მჯეროდა, მაინც გადამარჩენდნენ,
რომ აღვსდგებოდი ისევ არჩილად!
და მართლაც მხრებით გამომიტანეს,
ილბალმა თითქოს გადამარჩინა.

მაგრამ მეგობარ მკურნალთა ხელშიც
ვერ დამიმშვიდდა გული მშფოთვარეს:
ვერ იქნა, მკლავზე გესლიან ტყვიის
კვალი, ვერ იქნა, ვერ ამოთალეს!

სიმწარედ მექცა მცირე იმედიც,
როცა დოსტაქარს მივაპყარ თვალი...
და აი, თვითონ გამოვიტაცე
აქეთკენ ჩემი ხორცი და ძვალი!

რისთვის? მიხვდები, ვიცი, უთქმელად,
მეც ხომ დოსტაქრის წარბმა მაჩვენა —
რომ სამწუხაროდ სხვა გზა არ იყო,
უნდა მოეჭრათ ჩემთვის მარჯვენა!

სხვა გზა არ იყო? თვით გამოვნახე,
სიკვდილის შიშმაც ვერ შემაკავა...
ერთი საათი ეცადათ, ვთხოვე,
ვთხოვე და აგერ, უკვე აქა ვარ!

ო, ნუ გამკიცხავ თუ განწირულად
სიცოცხლის ჯაჭვი ამიწყვეტია,
თვით გამარჯვების იმედიც ხშირად
მხოლოდ და მხოლოდ ერთი წვეთია!

ეს არის ისევ სიცოცხლის რწმენა
და არა ზაფრა სამგლოვიარო, —
როგორ! მარჯვენა დავმარხო ჩემი
და მერე მაინც ქვეყნად ვიარო?!

არა!
განსაცდელს, ვცდილობ გადავრჩე
წამით ხავსს მინდა ჩავჭიდო ხელი, —
იქნებ ეს შხამიც დასძლიოს გულმა,
მდუღარე ტყვიის ღვარივით ცხელი.

თორემ რაღაა სიცოცხლე ჩემი,
თუ გამომთიშეს ძალით მწყობრიდან,—
მე გამხეცებულ მტრის წასახრჩობად
ორივე ხელიც არა მყოფნიდა!

მთებს იქით სწორედ მან ამამხედრა,
თორემ საომრად ვიწევდი განა?
ჩემს მიტოვებულ სახლკარს, ოცნებობ
ისევ ხალისით მივხედო ჩქარა!..

ჩენს შეუჭმუხვნელ შუბლის პიტალოს
მხოლოდ ოცნების შუქი ეფინა,

მან კი უდარდელ ჭაბუკობაზე
უეცრად ხელი ამაღებინა!

ვებრძოლე ყიდეც. ‘ვერავინ ‘იტყვის:
იჯდა ლაჩარი, უქმად ცდებოდა!
ახლა კი რა ვქნათ, — ვაჟას არწივიც
ყვავ-ყორნებს ასე ეომებოდა!..

ჯერ კიდევ ვცოცხლობ,
ჯერ კიდევ მრავალს
ვიმსხვერპლებ სულის ამოხდომამდი,—
გახედე, ფანჯრის წინ გაშლილ
დაბლობს —
რაზმი გავულიტე ამ ავტომატით!

ბილიკს თუმც ფრთხილად ამოდიოდნენ,
მე უფრო ფრთხილი გულით ვუცდიდი!
და, რა თქმა უნდა, სამტროდ მოსულებს
ხელს სიყვარულით არ გავუწვდიდი!

იმათი „ვეფხვი“ გინახავს? — აგერ
გდია, თუმცა-ღა ჯავშანი ეცვა!
მეც, ჩემო ძმაო, ვეფხვურად დავხვდი,
როცა მომესმა კლდეების ლეწვა.

რაა მხეცური ძალმომრეობა!
ძალ-ღონე კაცურ სიმართლეშია! —

სული კვამლივით აღმოხდა შავად
სულწაწყმედილი, ხედავ? — ლეშია...

ერთხელ ხომ ისევ გავიხალისე,
დავხვდი ფათერაკს დანატრებული,
და დასასჯელი ჩემი ურჩობაც
ვგრძნობ ამით არის გამართლებული.

სიკვდილმისჯილმა მარჯვენამ, ალბათ,
თვითონ სიკვდილთან დამაძმობილა, —
ასეთი მკაცრი, ასეთი მარჯვე
იგი არასდროს არა ყოფილა!

არა! არ ვგევარ სასოწარკვეთილს!
იცის ქვეყანამ, არ ვარ ძაბუნი,
იცის ამ მკრთალმა პატარა ქალმაც
აქ რომ კუთხეში დგას განაბული...

იცის ამ მკრთალმა პატარა ქალმაც,
თვითონ ეგ უცხო ცისფერთვალება
და შემდეგ მახლავს როგორც ნათელი,
ჩემს გვერდით ჭირსაც არ ეკრძალება.

არა! აწ მტერი ვერ დაგვამარცხებს!
ხედავ? ქუხილით დახვდნენ ქედები
და უკვე ნათელ გამარჯვებათა
დღეების იქით მეც ვიხედები!..."

V

ადგა არჩილი, ძალღონეს ენდო,
თუმცა ალივით ენთო, ვხედავდი.
სივრცეს ფანჯრიდან შეავლო თვალი
თერგის ველიდან — თერგის მთებამდი!

და წამით როცა ისევ ქუხილმა
გასწუვიტა ჩვენი გასაუბრება, —
— თქვენ დაჭრილი ხართ! —
ჩავურთე ფრთხილად, —
თქვენ რომ აქ დარჩეთ, არ გაქვთ
უფლება!..

— არა, ნუ მირჩევ!—მითხრა მან მწყრალმან
უცებ შემართულ ცალი წარბითა, —
არა, ნუ მირჩევ, ჩემო კეთილო,
დავემორჩილო ავბედს არ მინდა!

ზე ბრძოლის ველზეც მახლავს ოცნება
ჩემი და ჩემი ამხანაგების,
გახსოვს? ომის წინ გეგმა სახალხო,
გეგმა სანატრელ ქართლის ბაღების!?

გახსოვს? გადამწვარ სამგორის ველებს
კვლავ ამწვანებას რომ ვპირდებოდით—
იმ დროს უცდიდა მარჯვენა ჩემი,
იმ დიდ ოცნებით მეც ვინთებოდი!

მე გამარჯვების მჯერა... და ვჩქარობ
რომ გადავშალო ისევ წიგნები,
მინდა ძნელ საქმეს ჩავჭიდო ხელი,
როცა მშენებელთ მწკრივში ვიქნები!

განა თბილისის კედელში სადმე
რომ ჩავეკირეთ დავიკვნესებდი?
არა, მერწმუნეთ, როგორც ზურაბი,
მხრების გასაშლელ ადგილს ვეძებდი..

მინდა ციცაბო კლდეებს, მთამსვლელი
კვლავ წერაყინით ჩამოვეკიდო!

მინდა შესძახონ მდინარის ტალღებს!
არჩილი მოდის, ჩამოდექითო...

თორემ რად შევხვდე სიმღერით რიონს,
ჩქერებს თუ ველარ გავჭრი მხარულით,
რად დავუბრუნდე ჩემს ჭაბუკობას,
რა იმედებით, რა სიხარულით?!

რაგინდ შორს ვიყო, უკუნეთშიაც
დარდს ერთი სხივი მუდამ ანათებს,—
ბრძოლის ველიდან — დედის კალთამდი
ჩემი გულისთქმა მიაქვთ ბარათებს!

ვარ დედისერთა, მარჯვენას ჩემსას
დღეს შავი მიწა რომ დავაყარო, —
ხვალ ჩემზე მლოცველ
უბედურ მშობელს
ბედნიერება როგორ ვახარო?!

თუ სიყვარულით მკლავებს ვერ მოვხვევ,
რით გავუთენო დილა კეთილი?..
და ის, რომელიც უხმოდ მიმელის
ისიც შემხედავს გულდაწყვეტილი...

ალბათ შენც გეძებს შორი ოცნებით
და შენი მკლავის მოიმედეა

ლალი, ნათელა თუ თამარ-ქალი
შენი მზია, თუ შენი მედეა.

მყუდრო კუთხეში, სანთლის ალივით,
ჩემს ნათელ იმედს დაჰბერა ომმა,
სურვილი ჩემი, წყურვილი ჩემი,
დავტოვე ღია კარის წინ მდგომმა!

დავტოვე, დიახ, ჩამქრალ თბილისის
ბნელში და მისი არა ვიცი რა! —
იქნებ კვლავ უზის გადაშლილ წიგნებს,
იქნებ ჩემსავით არ გაიწირა...

გაავებულმა დრომ დაგვაშორა
და მსჯის მით უფრო ჯავრი ფარული:
მრისხანე ომმა გამიპო ორად
გული, სიცოცხლე და სიყვარული!

დამარცხებული დავბრუნდე? — არა!
არც ნებით მინდა, არც უნებურად...
გამარჯვებული კი ისიც არის
ცოცხალი ვინც არ დაბრუნებულა"!

კვლავ სურდა რაღაც ეთქვა ახალი,
ესმენდა ინაც თვალთა ციმციმით.
მაგრამ უეცრად შეკრთა ვაუკაცი
და შეტორტმანდა მთელი სიმძიმით.

იქვე დაეშვა ლოგინზე. ინა
ისე ვით წინათ თავს ევლებოდა, —
მწუხრის ნისლივით ჩუმსა და მორჩილს
ცრემლით წამწამი დასველებოდა.

არჩილს კი სისხლი უწუხდა შხამით
და მდევკაცივით იწვა მდუმარი.
მეც მივეშველე, მეც მკლავი ჩემი
დავუდე, როგორც თავსასთუმალი.

ვხედავდი ნათლად, როგორ უფრთხოდა
არ გამხდარიყო შესაბრალისი, —
და სწორედ მწარე ღიმილში ჩანდა
ტკივილი უფრო, ვინემ ხალისი.

იწვოდა კაცი, თვითონ იცოდა,
რომ ჩაიდინა დანაშაული
და მზად ვიყავი გადამერჩინა,
მაგრამ რა ღონით, რა სასწაულით?!

ო, არც მოსმენის და არც მოწყენის
დრო აღარ იყო უკვე აშკარად.
ინამაც იგრძნო ალბათ რაც მსურდა,
თვალით მანიშნა და ამაჩქარა.

ურჩობდა მხოლოდ არჩილი, მტკიცედ
ჩაბჭიდა მკლავში მარცხენა ხელი,

ისმოდა მხოლოდ მისი ღრმა სუნთქვა
ღუმელის დახშულ გულივით ცხელი.

დრო აღარ იყო და ის კი მაინც
შემომკვნესოდა: „—იყავ კეთილი,
შინ როცა მიხვალ, მეც გამიხსენე
ამ ორ ცეცხლშუა გზაჩაკეტილი!

შინ როცა მიხვალ, გულისთქმა ჩვენი,
გთხოვ, ერთმანეთში არ განასხვაო, —
მოძებნე ჩემი პატარა დედა
და ჩემზე კარგი უამბე, ძმაო.

არ დაივიწყო: მკვდარიც რომ ვიყო
მხოლოდ ცოცხალი კაცი მიწოდე, —
მოხუცი დედა იმ შორ სოფელში
ჩემი სიცოცხლით ცოცხლობს, იცოდე!

მიხვალ და არჩილ გუბაძის ქოხში
ტკბილად ერთ ღამეს მაინც გაათევ,
ჩემს ძველ ბარათებს მოგიტანს დედა,
ჩემს მეზობლებთან იმასლაათებ!

ღარიბ ქოხს ნახავ და ნუ დამძრახავ,
თუ ხარ მოყვარე, თუ ხარ ძმობილი,—
ახალი ოდის ფიცარ-კრამიტი
ცისქვეშ დამირჩა ყრუდ მიწყობილი...“

VI

არა, მოსმენის დრო აღარ იყო,
მზარავდა მისი კვნესა-ჩურჩული, —
ხან ანთებული გამჭრიახ მზერით,
და ხან ოცნებით თვალდახუჭული.

გამოვეთხოვე ძალით. არც მახსოვს
რა მოვიგონე, რა მაჩქარებდა...
თვალთახელშუა აფრინდა ინაც
და შეთქმულივით დამხვდა კარებთან.

ისევ ავყევით კიბეებს მარდად,
თან წამყვა დარდად არჩილის დარდმ
ჩვენებთან მისვლით ველოდი შველას,
ველოდი... ამბავს თუ მივიტანდი!

სდუმდა კვლავ დაბა დაყრუებული,
ნანგრევებშორის ჩვენც ყრუდ ვიარეთ,
კვლავ იმ წყაროსთან შეჩერდა ინა,
კვლავ ერთი წუთი დავაგვიანეთ...

გადახსნა ჩანთა, რვეულის ყდაზე
ხელის კანკალით გზა დამიხატა
და თან მადლობა დახმარებისთვის
წინასწარ იქვე გადამიხადა.

თქვა: „—იქნებ ჩვენი დანაშაული
გასწორდეს იმავ დოსტაქრის ხელით, —
სულ ორიოდე საათის გზაა
და მზის ჩასვლამდე წყაროსთან გელით!

იქნებ თქვენ მაინც უშველოთ არჩილს,
ვგრძნობ თქვენი ნახვით გამხიარულდა..
მე კი ოთახშიც აღარ მაჩერებს,
რომ გამაგონოს კვნესა, არ უნდა!

ნებით არავის დაემორჩილა,
ძალით განსაცდელს დასძლევს ჰგონია,

ბიბლიოთეკა დანას და ბრ, თანაც
მე სავალალოდ ამიყოლია“!..

გამოვეთხოვე. სახე იმ ქალის
არ აგიწეროთ არ შემიძლია:
ასე ფერმიხდით მზე იცქირება
როცა შორს რჩება, როცა ნისლია!

ვინ მოიგონა, რომ ბრძოლის ველზე
მძვინვარეებს მხოლოდ მტრობა უხეში!
მე არ მიგრძვნია მეტი სინაზე
სხვაგან, ჩემს ფერად სიჭაბუკეში!

ნატყვიარ გულის მესაიდუმლე,
გულივით წრფელი და პაწაწინა,
მახსოვს, თვალწამწამ მოოქროვილი
იყო წამივით უცნობი ინა.

მისი ლიმილიც დამრჩა ხსოვნაში:
როცა გადახსნა საველე ჩანთა, —
მახსოვს, მოვკარი თვალი ბარათებს,
მაღლა ასაფრენ გუნდივით ჩანდა.

ვეხუმრე: — ყველა ფრთებგაუშლელად
აგრე რომ ისხდეს, მოსათმენია?
თქვენი ყოფილა მთელი ქვეყანა,
თუ ბარათები ყველა თქვენია...

„— არა, არჩილის ბარათებია!—“
მითხრა და ნაწერ ბწკარს დააჩერდა,—
„როცა დაჭრილი კარავში იწვა,
ფიქრთგასართველად წერილებს სწერდა.

წერილებს სწერდა საყვარელ დედას,
ყოველთვის მასთან იყო ოცნებით, —
ზოგნი გაფრინდნენ,
ზოგნი აქ სხედან.
ფრთებდაკეცილნი როგორც
ფრთოსნები...“

გზას ვადექ, და არ დავფიქრებივარ
თუ რა მანიშნა ამ სიტყვით მაშინ,
შეკრთომა ჩუმად რად მიიმალა
უცებ სიმივით გაწყვეტილ ხმაში.

ცას შემზარავად ბზარავდა ისევ
შმაგი მტაცებლის შორი ზუზუნი...
ახლაც კი ვჯავრობ,
როგორ დავტოვე
ქალი უმწეო და უსუსური!

ამხანაგებო, ახლა გურამიც
ვგრძნობ, საკამათოდ შეიშმუშნება,
ჩუმი შეხედვით მაჩერებს ნუნუ
და უნებური ცრემლი უშრება.

წინ თითის ქნევით ნუ უსწრებთ ამბავს,
არჩილს მსაჯულად ნუ ეყოლებით, —
რამდენი გმირი დაჰყრიდა ფარ-ხმალს
როგ სჯიდეს აგრე ცივი გონებით!

ამხანაგებო, ჩვენს სიქაბუკეს
არც ლხინი აკლდა, არც სამძიმარი,
მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია, —
ცხოვრება ჩვენი ისევ წინ არი...

VII

ის დღე, ის ღამე გზას მივანდომე,
თუმცა მღელვარე გულით ვჩქარობდი,
და დილით, დიდი ვაგლახის შემდეგ
ძლივს მოვაღწიე ისევ წყარომდი.

მზე ცეცხლის კვამლში ამოდიოდა,
ღვიოდა ბრძოლის ველი ველური,
ირგვლივ ნანგრევთა სიჩუმე იდგა,
სიჩუმე ცივი და უფერული.

ვიდექ დანიშნულ ადგილზე. ვწუხდი.
არ ვუჯერებდი თვალებს ამჯერად, —
სამი სამხედრო ექთანი მახლდა
ახლა არჩილის გადასარჩენად!

ისინიც კარგად იცნობდნენ ბედკრულს,
უყვარდათ იგი და სულს ერჩიათ,
თუმცა მათ მზრუნველ ხელს გამოექცა,
წამოეშველნენ ამ საფრთხეშიაც!

მაგრამ წყაროსთან არ დაგვხვდა ინა,
არა. ამაოდ მოგვიხაროდა...
და წყარო ქვებში ჩაგუბებული
იქცა ჯავრის და ცრემლის წყაროთა.

სახლს მივაშურეთ, სადაც ჯერ კიდევ
მეგულებოდა არჩილი, — ვნახე...
და საძირკვლამდე დაქცეულ კედლებს
ხასოწარკვეთილ ხმით გადავძახე!

ვნახე: ცის რისხვა თავს დასტეხოდა,
სართული სართულს აწვა ლოდებად
და ჩანდა მხოლოდ ქვითკირის მტვერში
მტრის განწირული გაბოროტება.

ძახილით აბა ვის მივწვდებოდი?! —
ყრუ იყო დაბა, ყრუ, უკაცური,

ლოდებქვეშ გულიც არ ფეთქდა არსად
და მე ვფიქრობდი გულგაკაწრული:

„ნუთუ ეგ არის ახლა სამარე
როგორც არჩილის, ისე ინასი,
ერთად მარხია:
ვაუკაცის გზნება
და სიყვარული სავსე სინაზით!

ნუთუ გზად ისე მძიმედ ვიარეთ,
დავაგვიანეთ მოსვლა და ახლა
აქ ჭირისუფალ ჩრდილებად ვჩანვართ
საფლავად ქცეულ ნანგრევთა მაღლა?“

და მართლაც,
მხრებით მხრებს მიყრდნობილნი
ვდუმდით.
უცრემლოდ გმირს დავტიროდით...
თერგიც კი,
თერგიც თმაგაშლილს
ჰგავდა
თავის აჩეხილ სანაპიროთი!

და ქვიდან ქვაზე დაცემულ ტალღის
ხმაც ისე ახლო გვესმოდა მაშინ,
რომ ჩვენი მძიმე გლოვა უსიტყვოდ
იხატებოდა ერთ სულისთქმაში.

არა! დაღუპულ გმირის ამბავი
ვთქვა უკეთ ახლაც არ შემიძლია! —
ასე მგონია იმ ნანგრევებში
ჩემი ხორცი და ჩემი სისხლია!

და შემდეგ აბა, სად არ ვიყავი,
ჩემი გზა საით არ გაიკაფა,
ქვეყნად რამდენი გმირი არ ვნახე,
რამდენი ბრძოლა, რამდენი ჯაფა!

მაგრამ არჩილის ცოცხალი სახე
ომმა ხსოვნიდან ვერ ამოშალა, —
ბრძოლის წყურვილით სავსე თვალები
ჩაუქრობელი ცეცხლით მოჩანან!

ის დილა თითქოს იყო ნიშანი,
ცა ვერ ვიცანი ისე განათდა
და როგორც არჩილს სჯეროდა ისე
ცეცხლით აღგავეს კვალი ჯალათთა...

არ გახსოვთ, პირველ შეტევის რისხვა,
მთებმა რომ ერთხმად დაიგუგუნეს?!
გუგუნი იგი აქამდე შერჩა
კლდეებს კი არა— მთელ საუკუნეს!

თითქოს არჩილი გვედგა ჩვენ მხარში
როდესაც თერგი კვლავ გადავლახეთ,

მის ოცნებებთან ერთად ვიბრძოდით,
ერთად ბერლინის დამხობაც ვნახეთ...

მტერს სასიკვდილოდ
მივსწვდით ბუნაგში
და როცა ბრძოლა შეწყდა მხეცებთან,—
გახსოვთ? ცოლ-ქმარი, და-ძმა, დედ-მამა
შორით ერთმანეთს როგორ ეძებდა!

როგორ ვუსმენდით, გახსოვთ, რადიოს,
და ტელეგრაფის
მთრთოლვარ მავთულებს?
როგორ გვეძახდნენ კვლავ ქალაქები
ვრცელ ქვეყანაზე მიმოფანტულებს!

ომგადახდილთა ვაშას ძახილში
თითქოს არჩილის ვაშაც გაისმა,
მტერს იარაღი როცა აჰყარა
ცხრაას ორმოცდახუთის მაისმა!

მაგრამ ხანდახან, ამხანაგებო,
წამით რატომღაც გული ღონდება:
შინ დაბრუნებულ მატარებლების
აჩქარებული სვლა მაგონდება!

რა ღელვა დაგვხვდა, რა სიხარული!
ყველა მოსახლე კარებს აღებდა...

შინ ვბრუნდებოდით...
და სიყვარულით
არჩილი ისევ მიკარნახებდა:

„არ დაივიწყო, მკვდარიც რომ ვიყო
ძხოლოდ ცოცხალი კაცი მიწოდე, —
მოხუცი დედა იმ შორ სოფელში
ჩემი სიცოცხლით ცოცხლობს,
იცოდე!“

VIII

ჩემი ცისფერი მანქანა ისევ
შორს მიმოკარგულ
გზით მიმაქროლებს, —
შეფრინვით, თითქოს ხომალდი იყოს
სჭრის ტალღებივით გაშლილ
მთაგორებს!

ხალისით ვმართავ... თუმცა ვით ხიწვი
გულში მაქვს იჭვი,
სურვილით გარჯილს:
ვაი, თუ ახლაც, სამი წლის შემდეგ
ვერ ავუსრულო პირობა არჩილს!

ვაი, თუ მისი საბრალო ლეღვ
თვალით ველარც კი ვნახო სრულიად...
სოფლებს მიჰყივის მანქანა მაინც,
ორმოცდახუთის გაზაფხულია!

გზებზე დახრილან წიფლის ხეები,
უნდათ ჩემს ბეჭებს გაეშრიალონ,
გზებზე შრიალა ნიავიც დაჰქრის,
გაქრი შენც ფიქრო კაეშნიანო!

აგერ: მდინარე...
ხიდი... წისქვილი...
და აგერ უკვე გზაზე ხევზევით:
ჩითისპერანგა სოფლის ბიჭები
ტირიფის შტოზე აცმულ თევზებით!

აქ თითქოს განგებ ამომეგებნენ
და კვირა-დილის ნათელში დგანან...
სწორედ ამ მკვირცხლად
აქოჩრილ ბიჭებს
არ იგონებდა არჩილი განა?

დგანან, მიცქერენ,
და მეც ვჩერდები,
ვაღებ ღიმილით მანქანის კარებს, —
—შორს არის არჩილ გუბაძის სახლი?—
ვიტყვი და წუთი გულს ამიჩქარებს.

— არჩილის სახლი? აგერ, აქვეა! —
გზა უცებ ერთხმად სურთ მიმითითონ:
—„აი, ამ დაბალ ფერდობის მარცხნივ,
ამ აყვავებულ ცაცხვების მხრითო...“

თვალით ვანიშნებ და უმალ ყველა
მოაფრინდება მანქანას გუნდად!
ჩუმად არიან, თუმც უხარიათ,
ვგრძნობ, აღტაცების დაფარვა უნდათ.

მაგრამ გავცდებით ცაცხვებს თუ არა,
გზა თან აჰყვება თუ არა მაღლობს, —
აენთებიან ერთბაშად ისევ:
— აჰა, არჩილი აი, აქ სახლობს!

ვხედავ: გამწკრივდა თეთრი მესერი
ვარდებით წითლად მიმოხატული,
მწვანე მოლს რკინის ჭიშკარი შვენის,
ქვითკირის ვიწრო ხიდს ნაკადული!

სახლს დილით ასდის ბოლი ნისლივით,
ჭასთან ხელაწვდით დგას ოწინარი,
გაჩნდება უცებ დიასახლისიც
და გვეგებება პირმოცინარი.

ვდგები, და უკვე შემკრთალი ვხედავ
ბავშვებს ეზოში გადაფრენილებს.

რ, აქ სიცოცხლით სავსე ადგილს
სიკვდილის ამბავს რა მათქმევინებს!

ო, ნეტავ ჩემი ფარულ ფიქრების
მკითხველ თვალებად ქცეულო დედავ;
შენი ვაჟკაცის შინ დაბრუნებას
ახლა მეც აგრე ველოდე, ნეტავ!

თერგის ნაპირზე, უკანასკნელად,
ხელყუმბარებით დათხრილ სერებთან,
როცა შენს დამჭკნარ ღაწვების ღიმილს
და თეთრი თმების შუქს იხსენებდა,

მას გამარჯვების ზეიმით სურდა
დაეტკბე შორით დედა-მშობელი...
მთხოვა და მოველ...
ავის კი არა —
კვლავ როგორც კარგის მახარობელი!

ამ ვარდ-ყვავილებს,
ბავშვებს,
თვით არჩილს,
რა ვქნა, ვუმტკიცებ ჩემს ერთგულებას,

მხოლოდ არჩილის სიცოცხლე სჯერა
მშობლის გულისთქმას, სოფლის
ბუნებას!

ღიმილით მხვდება უცნობი დედა,
ისწორებს თავშალს, ღელავს, იჩქარის!
ჭადრის ხეებქვეშ, სტუმარს გულღიად
მეპატიუება ღია ჭიშკარიც.

და მე ხელს კრძალვით
ვუკოცნი დედას,
მესმის ხმატკბილი მისი ქართული:
„ასე მგონია, არჩილს ვხედავო“, —
ამბობს ოცნებით პირგაბადრული.

თანაც მივყავარ შინ, რომ ვუამბო
შვილის ამბავი გულგასახარი.
მიკვირს: ეზოში ორი სახლია —
ერთი ძველი და ერთიც ახალი!

ახალი ჩვენგან ხელმარცხნივ რჩება,
ახალ ქვის კიბით, ქვის ბოკონებით.
ძველს მივაშურებთ, —
ძველს კი მეც ვიცნობ
არჩილის სიტყვით და მოგონებით...

— ახალი, — ამბობს დიასახლისი, —
მხოლოდ ამ სოფლის სიკეთე არი,
არჩილის ნატვრა იყო, და ვუცდით,—
არჩილმა უნდა შეაღოს კარი!

— აქა მშვიდობა! —ვიტყვი და თითქოს
ვგრძნობ
სამშვიდობო ლხინის დროც არი...
მაგრამ იწყება გამოცდა ჩემი
და ორთა-ბრძოლა გასაოცარი!

აივანზე ვარ, თუ ბუხრის პირად,
თუ ტახტზე ვზივარ მუხლმოკეცილი, —
ჩემს ვრცელ მოთხრობას
უსმენს მოხუცი,
მშვიდად უბრწყინავს სახე კეთილი.

მისი ვაუკაცის გმირობას ვხატავ,
როგორც მინახავს, როგორც მიგრძვნია,
ვახარებ დედის გულს... და დასასრულს
მივუახლოვდე — არ შემიძლია!

აი, შეხვედრაც უკანასკნელი...
და ვატყობ ხმაც-კი ამიკანკალდა.
უცებ ღიმილით მაჩერებს თვითონ:
— ეს იყო თერგის პირად...
კავკავთან!

ეს იყო თერგის პირად, კავკავთან,
შემდეგ კი დონზეც გასულა ბარად!—„
იტყვის და შვილის სურათის თვალწინ
გამიშლის ასჯერ დაკოცნილ ბარათს.

— ეს რაა! —
ვფიქრობ სიტყვაგამშრალი, —
საკუთარ თვალებს არ დავუჯერო?!
მე თვითონ ვნახე საფარი მისი
აფეთქებული, უძრო, უჭერო!

ვინ დამაჯერებს რომ სულთმობრძავი
იმ ნაცარ-მტვერში არ დამარხულა,
ვინ დამაჯერებს, რომ სულთმობრძავი
მკვდრეთით აღდგომის ძალა არგუნა!

ტყვიით გაგმირულ ვაუკაცის მზერა
ნუთუ შორიდან ახლაც ანათებს,
გასულა დონზე, გასულა დნეპრზე
და ბერლინიდან გზავნის ბარათებს!..

არა! არჩილის სიცოცხლემ სძლია,
ვგრძნობ,
თვით სიკვდილი გულშემზარავი, —
მაგრამ როგორც მე არ ვიცი, როგორ,
ისე არ იცის ქვეყნად არავინ...

IX

მოხუცი ქალის ზრუნვას და ხალისს
სხვა სითბო ახლავს, სხვაგვარი სხივი,—
ტკბილი სასმელით სავსეა სურა,
წკრიალებს ბროლის ჭიქების მწკრივი!

ხმელი ხილი და არაყიც მხოლოდ
თავშესაქცევად მოგონილია,
ლია სარკმელში რატო შემოჭრილა,
ბრილა, სუფრაზე ცაცხვის ჩრდილია...

და ვიდრე დედა ფუსფუსებს ცეცხლთან,
საკეცით აწყობს ვარვარა კეცებს,—
ხან მოსაუბრე და ხან მდუმარი
სტუმარი ახალ გასართობს ეძებს.

ტახტს ზემოთ ფრენით გაკვრია კედელს
თეთრი გედების გუნდი განდაგან,
და მიმოქარგულ ვარდ-ყვავილებში
ნაცნობ თვალებსაც
ვხვდებით ხანდახან, —

თვითეულ ფოტოსურათს პატარას,
ზღვის ნიჟარებით მოოჭვილ ჩარჩოს,
გულში რომ წუთი ჩაუხატიათ —
იმ მარად ცოცხალ წუთს გაუმარჯოს!

დგანან ჯგუფ-ჯგუფად ჩემი ტოლები,
გულათრთოლებით ვუცქერ მათ სურათს,
რა ყმაწვილები გავსულვართ ომში
და რა მხნედ ვძლიეთ, რა ვაჟკაცურად!

რა შეედაროს ამ სიჭაბუკეს,
ძალღონით სავსეს და სანეტაროს,
რა დარდი დარჩა
ვკითხოთ ძველ კუნჭულს
და მიტოვებულ წიგნების თაროს!

ჩვენს ყმაწვილკაცურ იმედებს ვკითხოთ
შემდეგ სიმკაცრით დღედარბეულებს,
თუ რა ოცნება დარჩათ ოცნებად
რეფერატებით სავსე რვეულებს! —

თქვან, ზაფხულობით ჩამოსულ არჩილს
რა იტაცებდა, რა უხაროდა,
ჯერ დაუხაზავ ქაღალდის ფურცელს,
რომ აიღებდა ხოლმე თაროდან.

მომეცით ნება ვნახო, თუ გუშინ
რა ჰქონდა გულში, რა უნატრია, —
აგერ 'მტკვრის-პირი ქალაქის გასწვრივ
გაბედულ კალმით გაუფატრია.

აგერ,
მთაწმინდას მცხეთის ჯვარივით
ცაში ამაღლებს თეთრი შენობა,
ადგას ჭაბუკი ხელამართული,
ვით გამარჯვების წარუშლელობა!

ეს ჭრელი რუკა მაგიდას ალბათ
ხუთი წლის წინაც ასე ეფარა,
რას გვეკითხება კითხვის ნიშნებით.
კაცს უკვე არა გაეგება-რა!

ჩუმათ ავიღებ ხელში ლურჯ გრაგნილს,
გავშლი და

როგორც ზღვას ვაკვირდები, —
იგი ოცნების ზღვა არი მართლაც
მიმოხატული მღელვარ ზვირთებით!

დაე, არჩილმა შემოგვანათოს,
არა, დედის გულს არ ეწყინება
ომით ჩაქრობილ ძველ ამბებიდან
შვილის ასეთი გამობრწყინება!

ვზივარ, არჩილის კალმის ნაკვალევს
კვლავ რვეულებში მიჰყვება თვალი,
ვათვალიერებ წიგნებს, წარწერებს,
და ერთ ფურცელზე მაჩერებს „ლალი“.

ლალი? ხომ არის ხანდახან სახელს
იხსენებს კაცი და ვერც იხსენებს, —
აუხსნელია რად აწერია
სწორკუთხედებით დასერილ სერებს...

—აჰა! მხლებლებით ლალიც გეახლათ!—
ჩემს ფიქრებს ერთვის პასუხად ამ დროს,
და ვუცდი უკვე საკვირველებას
სასიხარულოს და არა სამტროს!

გაოცებული ვუცდი. კვლავ წუთი
და ლალი წიგნის ფურცლებს კი არა —

ეხლა, მოადგა არჩილის ეზოს
გაზაფხულივით კაბაშრიალა!

— უთუოდ თქვენი მოსვლა გაიგო, —
ამბობს მოხუცი დაბეჯითებით,
ამბობს, გამომცდელ მზერით მიღიმის
და ჩემს მხარს წვდება
დამჭკნარ თითებით...

მე არ ვიცნობდი ლალის, არ ვგრძნობდი
რა ჰომხიბვლელი წუთი მელოდა,
პირველად ვნახე, მსუბუქი შარფი
სიჩქარით მხრებზე გადაჰფენოდა.

გაწოეთხოვა თავის გოგონებს,
ჭიშკარგადაღმა დარჩნენ მხლებლები.
წიგნები ლამაზ ხელს უმშვენებდათ,
შავ-შავ ნაწნავებს — თეთრი პეპლები!

სადაც ფრთოსნების ლაღი გუნდია,
ლაღი სიმღერაც მუდამ იქ არის,
გუნდი სიმღერით შარაგზას გაჰქვა,
ლალი გულდაგულ ჩვენკენ იჩქარის!

„—ლალი რომ არა, —
შესანდობარად
გაგიხდებოდით ალბათ ბებერი,

ჩვენ სოფელს ომის პირველ დღიდანვე
ეწვია როგორც მასწავლებელი.

მე შევიკედლე, ჩემი მდგმურია, —"
ჩურჩულებს დედა გულმადლიერი:
„— სჯერა არჩილის, და ამ ლოდინში
ჩემზე მტკიცეა, ჩემზე ძლიერი...

თუმცა არჩილი არც კი უნახავს,
მხოლოდ სურათით იცნობს..."
—სურათით?!
„— ჰო, და თუ ჩემი არჩილი გიყვართ,
ამ ქალის გულსაც დაუყურადდით!"

გაიღო კარი, განათდა მიჯნა
და შემოიჭრა ოთახში ლალი, —
შავთვალა, მაგრამ თვალწარბიანად
ბრიალა როგორც ნეკერჩხლის ალი!

ისე მიმიმხრო მოსვლისთანავე,
ისე ითქვამდა სულს მომღიმარი,
რომ გასაცნობად ჩვენს დიასახლისს
ალარც დასჭირდა ეთქვა ვინ არი...

იგი თვალებად ქცეულ ქალიშვილს
კვლავ როგორც დედა გადაეკონა,

და სიტყვასიტყვით აქვე უამბო
ჩემზე ჩემგანვე რაც გაეგონა.

ბოლოს დავიწყე მძიმე მოთხრობაც,
ფრთხილად ვარჩევდი
სათქმელს, დასამალს,
და სამივენი ვხატავდით მხოლოდ
არჩილის გმირულ თავგადასავალს!

ვუსწორდებოდი დედის გულისთქმას
წინასწარ თვალის ერთი შევლებით, —
ზოგჯერ ღიმილით გზას მიღობავდა,
ის დალოცვილი, ზოგჯერ ცრემლებით!

და ჩუმი ბრძოლით დაღლილმა უკვე,
შეჩერებულმა მხოლოდ იმედით,
მეც დავიჯერე, რომ გამარჯვებას
ამ ოჯახშიაც ვიზეიმებდით...

X

თბილისში, გმირთა მოედნის ახლო
ყრუ სამოსახლო მთა იყო ერთი,
თქვენც არა ერთხელ გინახავთ გავლით
უთუოდ მისი შიშველი მკერდი.

დიახ, თბილისში, ახალთახალი
სვეტებმაღალი სახლი რომ არის,
გმირთა მოედნის წრეს რომ დაშვენდა—
მონაწილეა ჩემი რომანის!

ზეაუმართავთ სვეტებს თაღები
ავთანდილივით ტანახოვანებს, —
და ქვათა ქართულ ჩუქურთმის ჭრილი
დარდებგაფანტულ გულს აფრთოვანებს!

მათ სილამაზეს, გახსოვთ, წინასწარ
ვიქადდი, ვიტყვი რად დავიქადე:
იმ წელს ვესტუმრე სოფელში არჩილს,
ნახატიც იმ წელს გადავიხატე!

სანთლის ალივით თავს მადგა ლალი,
დედაც იმედით შემომცქეროდა,
ხატვა არ ვიცი, მაგრამ ოცნებას
გადავხატავდი მაინც, მჯეროდა.

და შემდეგ, როცა ქვის მთლელის ხელით
იგი თეთრ ქვაზეც გადაიქარგა, —
ამაყი გული ამევსო ლხენით,
რადგან ამაგი არ დაიკარგა!

ჩვენი თაობის მედგარ გუგუნში
ისევ გაისმის მისი ქართული,
და ომის შემდეგ ახალ ხუთწლედის
მშენებლობაში არის ჩართული.

ამით, კარგებო, თუმცა გიამბეთ
ჩემი სტუმრობა რით დაგვირგვინდა, —

მოხუცი ქალის, ჩემი და ლალის
ბაასი მაინც განვაგრძო მინდა!

სიტყვა წინ განგებ გადავისროლე
და სიავკარგე ვკითხე ახლისა,
ლალი მომხიბლავ ასულად იქცა,
მოხუცი ისევ დიასახლისად...

თუ დავუჯერებთ, საგზურით ხელში
ლალი მისულა იქ ალალბედად,
მაგრამ შვილივით შეთვისებია
იმ უცნობ სოფელს თბილისზე მეტად!

ვუსმენდი, მსურდა ჩემით გამეგო
პატარა ქალის გულისთქმა წმინდა:
ინსტიტუტიდან პირდაპირ სოფლის
სკოლაში უცებ რომ გადაფრინდა.

მოხუცმა ქალმა რომ შეიკედლა
უცნობი როგორც უბრალო მდგმური...
ვუსმენდი, მჭრიდა იჭვით წვრილმანიც,
და ვგრძნობდი მაინც არ იყო თქმული—

თუ სოფლად რისთვის მიისწრაფოდა,
იმ ჭერქვეშ წლობით რამ გააჩერა,
და რომ სურათით იცნობდა არჩილს,—
ვერა, ლამაზმა ვერ დამაჯერა!

მე სიყვარულის ჩუმი გზა ვიცი,
იქ მუდამ იგავ-არაკებია,
არჩილისა თუ არწივის ბუდეს
რად შეებუდრა,
— გასაგებია.

და შესძლო კიდეც, დედასთან ერთად
ისე ედარდა, ისე ელხინა,
რომ საიდუმლო ზრახვა თავისი
ოდნავ ერთხელაც არ გაემხილა!

როცა ვუცქერდი იმათ ჩუმ ალერსს
უცხოდ არ ვთვლიდი და საოცრებად,
შვილისთვის მლოცველ გულს
უმხურვალესს
თუ ლალის რძლობაც ჰქონდა ოცნებად.

შორს დარჩენილთა ლოდინი მკვიდრი
თუ გინდათ ახლო ნახოთ — ეს არი!
ერთი სურვილით, ერთი წყურვილით,
წყვილ ჩონგურივით ერთად მკვნესარი

ჩემი თვალების ამბავი იცით, —
გამექცნენ!
ვიტყვი დაუფარავად,
და მაინც, ვფიცავ, ლალის წინაშე
დამნაშავენი მაინც არა ვართ!

სულ ახლო იდგა, მსუბუქი შარფი
შავ თმას ნისლივით აღარ ეხურა,
და ზედ ლამაზმა ლანდის თამაშმა
ისე მომხიბლა...
მეუხერხულა!..

თავს წიგნის ფურცვლით ვირთობდი
თითქოს,
არ გავამხილე რაც მაფიქრებდა,
და ლალის მხოლოდ ვაჩვენე „ლალი“,
როცა მარტონი დავრჩით წიგნებთან.

მსწრაფლ გამომტაცა ხელიდან.
შეკრთა,
აშკარად შეკრთა, განგებ კი არა, —
თქვა, რომ წარწერას ხედავს პირველად,
მაგრამ რად შეკრთა, არ აღიარა...

— ეს ხომ არჩილის ხელია? — ვკითხე,
იჭვი როგორმე რომ გამერკვია.
— არჩილისაა... და ლალიც მე ვარ,
თუ ქვეყნად ლალი მარტო მე მქვია!..

მაგრამ ვაი, თუ სიტყვაა „ლალი“
და არა ვინმე ქალის სახელი?!—
მითხრა ღიმილით და ყრუდ დახურულ
წიგნს უკვე ხელი აღარ ვახელი.

კარებთან უცხო ხალხი შევნიშნე,
თითქოს ლოდინით რეკდა საათიც, —
გაშლილ სუფრაზე გადავიტანეთ
ჩვენი ღიმილი და მასლაათი!

ახლა მეზობელ გლეხკაცებს ერგოთ
წილი და უმალ როგორც ველოდი,
არჩილის მაღალ ჭერქვეშ დაიწყო
ლხინი არჩილის სადღეგრძელოთი!

არა, კვლავ ქართულ სუფრას არ ავწერ,
მიყვარს... მრავალჯერ ამიწერია, —
სულ სხვა ელფერი ეძლევა სუფრულს,
ბერიკაცები როცა მღერიან...

სულ სხვა პატივით უყვარდათ მუდამ
არჩილ გუბაძის დედა-მზობელი, —
მთელი სოფელი მხარს უმშვენებდა,
სახლს უშენებდა მთელი სოფელი!

ჰქუხდა სიმღერა! — რადგან არჩილი
გმირი იყო და არა მშიშარა...
ჰქუხდა სიმღერა, მზე გადავიდა,
სუფრა ღამითაც არ აიშალა!

მეც მირჩევნოდა თუ ამ სტუმრობას
მქუხარ სიმღერით დავამთავრებდი,

და აღარ დავრჩი ღამით, მასპინძლის
მარჯვედ ჩავლებულ ხელს არ დავნებდი.

გამობარბაცდნენ გაშლილ ეზოში
მღერით, სანთლებით ხელაწვდილები,
თავს ვარსკვლავები დასციმციმებდათ,
ქვეშ კი ეფინათ ხეთა ჩრდილები.

გამოვეთხოვე, გამომაცილეს
შორი ძახილით, შარფის ფრიალით,—
ბნელი, მანქანის შუქმა კი არა
ლალის თვალებმა გასჭრეს ბრიალით!..

XI

ნუ გაიკვირვებთ ნურც ერთი წამით
თუ უცებ ღამით: შავთვალწარბიან
ქედებს გადაველ, ჩემო კარგებო,
ჩემს პოემაში წლებიც გარბიან!

წლები გარბიან, დღისა და ხვალის
კვალიც გზადაგზა ასე იშლება, —
მაგრამ რაც ერთხელ
თან დაჰყვა ხალისს —
არის! და წაშლა არ შეიძლება.

სულ მალე ჩაჰქრა ის გაზაფხულის,
მე კი უხილავ ალს ვერ ვიქრობდი,
უნდა გულწრფელად ვთქვა,
მხოლოდ ლალის
შორეულ თვალის შუქზე ვფიქრობდი!

მიკვირს!..
სხვისადმი ბრმა ერთგულებას
იგი რაც უფრო მტკიცედ ხატავდა, —
მწვავდა მით უფრო, და სულ დამიპყრო
ყველა იმედი როცა გათავდა!

მე არ მივაწერ ცრუ ბედისწერას,
არც გულის ძგერას მივაწერ, — თორემ
ამ დამარცხებულ სიყვარულისთვის
ვფიცავ, ერთ ბწკარსაც არ
ავათრთოლებ!

ჩემს დასასჯელად რამ დამაჯერა
რომ ეს არჩილის ღალატი არი,
რომ თავს მახსენებს და არ მასვენებს
თვითონ სიკვდილის ძალა ტიალი!

ჩემს დასასჯელად შორეულ სოფლის
ჩუმი ნათელი რად გამობრწყინდა,—
საბრალო დედას უკანასკნელი
იმედიც ნუთუ მოვსტაცო მინდა!

არა, დამშვიდდი ბიჭო,
მზაკვრობას
შენივე მტკიცე პასუხი გიშლის, —
დაუთმე ბედის უსამართლობას
მძიმეს აწყვეტილი თვალები გიშრის!

გიშრის თვალებიც დარდობენ იქნებ,
მაგრამ შორითაც როდი იშლიან —
მომჯადოებლად სდიონ იმ ფიქრებს
შენ რომ გულმკაცრად შეგინიშნია!

კმარა. შევწყვიტოთ კამათი, ჩქარა
გზაც ნემსის ყუნწში გაივლის ალბათ,
სახელდახელოდ გალამბულია
მთები და დილის ნისლები ცალფად!

მანქანის თვლებს თუ შევეკითხებით,
აღარც კი ახსოვთ სად გაუთენდათ!..
და შევიჭერით ქალაქში კიდეც
მტკვრის
ამღერებულ
ტალღებთან ერთად...

ჩემს ფიქრებს ასე ვეურჩებოდი
მცხეთა გადავჭერ ერთის დასმითა,
სარკმელთა ბრწყინვით მომიახლოვდა
ულრუბლო ციდან ისევ მთაწმინდა!

ეს ერთი წყვილი თვალი რა არის,
ერთი მბორგავი გულის გაწრთობა, —
ახლა თბილისის გულის გუგუნით
გუგუნებს ჩემი ახალგაზრდობა.

ვეძებ აუშლელ ხარაჩოებში,
და მეც არ ვიცი ჩანან, არ ჩანან —
ჯერ კიდევ ფარდებაუკინძავი
მეც მიცდის ჩემი წყვილი ფანჯარა!

თვალი ცად ისევ აიტყორცნება,
გზა ვარსკვლავებში მაქვს მიკვალული,
დილის ნისლივით მახლავს ოცნება,
მახლავს ოცნება და სიყვარული!

და გამოვცადო მინდა ძალღონე,
ძალით ჩავქოლე ფიქრი მაცდური,
რომ ჩემს სულშიაც შუქივით ჩანდეს
სიახლე მართლაც ახალგაზრდული!

როცა შორიდან შევაფრინდები
შენს პირველ ქუჩებს, ჩემო ქალაქო,
მგონია სახლებს ავიღებ ხელში,
მინდა ხელახლა გადავალაგო!

თუმცა-ღა წრფელი მოწმე ხარ ძველის,
სიახლე შვენის შენს ახალ თაღებს,

და მიყვარს ღამით სულისთქმა ჩვენი
ათას ნაპერწკლად რომ გაგაჩაღებს!

ხელმარცხნივ ლურჯი სამგორის ზღვაა,
ხელმარჯვნივ ქვაა ცად აწყობილი,
მტკვრის აღმა სწრაფი კატარღა მოჰქრის
და უყეფს ჩემი ავტომობილი!

მაგრამ მგზნებარე გულიც ხარბია,
ვერ ჩაკლავ ერთი ხელის დადებით! —
და აი, თვალწინ ასე გარბიან
ცეცხლმოდებული წელიწადები...

მრავალი დილა გათენდა შემდეგ,
მრავალმა ძალით წაშალა კვალი,
და ერთხელ დილით, როგორც გიამბეთ
თბილისში უცებ გამოჩნდა ლალი!

გამოჩნდა ლალი, სადღაც, შენობის
ხარაჩოებში აღმომაჩინა,
და ჩამოვართვი ხელი თუ არა —
მკითხა მაშინვე: — ვინ არის ინა?

ვინ არის ინა? ამ დილით უკვე
თქვენც კარგად იცით ინა ვინ არის...
მაშინ კი ხარბად მიცდიდა თვალი
ძალდატანებით პირმომღიმარის.

ვუთხარი: „არა“. ვერ დაიწყნარა
ცნობის მოყვარე გული არათი, —
გახსნა თავისი პატარა ჩანთა,
ამოაფრინა უცბად ბარათი!

ჩემო კარგებო, მე რა გიამბოთ,
ამბავი ისეც ვატყობ ვრცელია,
გადავიკითხოთ მხოლოდ ბარათი
ერთად გავიგოთ თუ რა სწერია:

„ამ ბარათს ერთადერთი იმედით
ვგზავნი და
ვნატრობ უცნობი ქალი:
სადაც არ უნდა იყოთ, მოგნახონ,
რომ სინამდვილე გიამბოთ, ლალი!

მე თქვენ არ გიცნობთ,
თქვენს ირგვლივ ისევ
ჩემთვის უცნობი წლების ნისლია,—
მაგრამ შორიდან ეს ორი სიტყვა
დღეს არ მოგწეროთ არ შემიძლია!

თუმცა უცხონი ვიყავით მუდამ,
ბოლოს:
ერთმანეთს ვერ დავემალეთ
და სადღაც ღია ცის ქვეშ კი არა —
არჩილის გულში შევხვდით ერთმანეთს!

მომეცით ხელი და ცრემლით სველი —
წამწამიც კი არ დააწამწამოთ, —
რომ წამით არჩილს არ დასდოთ ბრალი,
წამით ღალატი რომ არ დასწამოთ!

ვაჟკაცის გულში თუ უნებლიედ
ორთავემ ერთად დავიდეთ ბინა —
ორი სახელი ეწეროს მკერდზე,
ორი სახელი: ლალი და ინა.

თქვენ უნაპირო ოცნებით გახსოვთ,
მე თერგის დამწვარ სანაპიროთი!
თქვენ შეხაროდით
მის აფრთოვნებას,
მე კი დალეწილ ფრთებს დავტიროდი!

თქვენ ფიქრობთ
აჰყვა ახალ სიყვარულს,
და მე კი მჯერა დასძლია ძველმა...
ვერ მოვესწარით მაინც არჩევანს,
ისე გაგვთიშა სიკვდილის ცელმა!..

მინდა თქვენ გითხრათ... ბარათი ჩემი
პირობას ახლაც ვერ უღალატებს, —
დედას დროდადრო მე ვუგზავნიდი
ხელთ შემორჩენილ შვილის ბარათებს.

მინდა თქვენ გითხრათ სიმართლე
მხოლოდ,
სიმართლე მძიმე და გულსაკლავი:
თერგის ნაპირზე გათხარეს, დაო,
ბომბდამშენებმა მისი საფლავი!

სწორედ იმ დილით, როცა დანიშნულ
წყაროსთან ვიდექ, ველოდი შველას,
ხოლო დაჭრილი ჩვენი არჩილი
გვეურჩებოდა ბავშვივით ყველას, —

სწორედ იმ დილით
მტრობით, სიკვდილით
კეთილს დაასწრო შავმა ფრინველმა!..
მე კი როგორღაც გადამარჩინა
მხოლოდ შემთხვევამ გასაკვირველმა!

და აი,
თვალწინ გაფრინდნენ წლები
და მე ოცნებით თქვენთან ვარ, დაო,
მან შემაყვარა მე თქვენი თავი
და თქვენთან ერთად
სიკვდილთან ვდაობ! —

მან შემაყვარა მე საქართველოც
ისე, რომ თვალით არც კი მინახავს! —
თუ ამ სიყვარულს ჩვენ არ ვაცოცხლებთ,
სხვა გულითადი აბა, ვინა ჰყავს?!

გწერთ ალალბედად არც ვიცი, ლალი,
სად ახელთ წამწამს, სადა გაქვთ ბინა...
სადაც არ უნდა იყოთ — იქა ვარ,
გულს იქ მივყავარ გუმანით. ინა".

XII

ამხანაგებო, თავს არ მოგაწყენთ,
წინ არი მხოლოდ ერთი სურათი, —
სულ ორიოდე სიტყვა-ღა დამრჩა
მღელვარე ამბის დასასრულამდი!

დავცქერი ბარათს, და ამ წამშიაც
ვერ დაგიფარავთ, როგორ მაწამებს, —
თვალს მაშინ როგორ გავუსწორებდი
ლალის მწუხარედ შემკრთალ წამწამებს!

ქალი,
— თუმცა სიმართლეს გწერთ უცხო
ხშირად სიმართლე არის უხეში,
მაგრამ არ შევკრთეთ, არ შეკრთეთ,
ლალი!—
ყრუდ გაისმოდა ჩემი ნუგეში.

— არა! —ამბობდა თავდახრით ლალი,—
გულს მეტიც უნდა წარმოედგინა,
მაგრამ ათი წლის ლოდინის შემდეგ,
რა ვქნა, თუ გული მაინც მეტკინა.

— ალბათ იქრობდით, ჩემო კეთილო,
ანთებულ თვალებს
დედის გულმკერდით, —
ალბათ შორს მომხდარ უბედურებას
შორი სიტყვითაც ველარ უმხელდით!

შინ მოუსვლელი შვილი იმედით
დედის ბნელ ფიქრებს მაინც ანათებს,—
რაც უნდა იჭვით უსმენდეს ყური
დაგვიანებით მოსულ ბარათებს...

და დედაც ალბათ ჯავრს გიმალავდათ,
თქვენი შეხედვა დარჩა იმედად,
შინ დამკვიდრებულ ოცნებად ჰყავდით
და ასაფრენად ვერ გაგიმეტათ!

არა! სიკვდილის შავი არშია
რომელ ბწკარშია, თქვით, გავლებული!
ის არც ამ ბარათს არ მოჰყოლია,
დღეს რომ გვჩაგრავდეს გაავებული.

ყველგან არჩილის სიცოცხლეს ვხედავ
და ველარ ვბედავ ვთქვა სამძიმარი,
სამარადისო დიდება ვუთხრათ, —
მისი ცხოვრება ისევ წინ არი!..“

...და ასე, მეცხრე სართულის ჭერზე
წერტილებივით აღნიშნულები,
ერთხანს პირისპირ ვიდექით ერთად,
ვიდექით ფიქრებ გათიშულები.

კედლებს კი თავზე დასტრიალებდა
ცად ამართული რკინის მარჯვენა,
თითქოს გაიგო მათი ქართული,
ხე-ტყე აიღო და მოაშველა.

ხე-ტყეს ხელმარჯვედ ხელთათმანებით
უმალ მუშების ჯგუფი შეება
და მოგვეჩვენა, რომ ჩვენ ფიქრებსაც
ხელი შეახეს გარეშეებმა!

ძირს ჩამოვედით, რკინის, ქვითკირის
და თაბაშირის ფერად გორებთან

ახლა მტვრიანი ორომტრიალი
გრგვინვით იმასვე გვიმეორებდა!

და ჩვენ ჩავჭიდეთ ერთმანეთს ხელი,
რომ წარუშლელი ჩვენი ღრუბლები
გასაქარვებლად ღია ქალაქში
გამოგვეტანა გასაუბრებით...

დაგვხვდა მტკვრისპირი
და მოგვესალმა
ათასი ალვა მწკრივად დამდგარი,
ჩვენი ბიჭების ხელით დარგული,
ჩვენი ქალების მზერით დამტკბარი!

ახალ-გამართულ ხიდს გადავედით
კვლავ ერთად როგორც გულითადები,--
ხიდიც ბოლნისის ქვის ფერით ჩანდა
გაღმა გადაწვდილ ვეფხვის თათებით!

დაგვხვდა რუსთველის გამზირი დიდი,
მიმოხატული ხეთა ლანდებით,
შენობებს გავლით
გვერდს უმშვენებდნენ
ჭადრები, როგორც დარდიმანდები,

თითქოს ერთბაშად დაძრულა ხალხი —
თაობას კვალზე მისდევს თაობა,

მხარს მისცეს მხარი და ფეთქავს ჩქარი
ახალგაზრდული გამბედაობა!

— ის რა ღელვაა, ტალღა თუ ტალღას,
ლალი, ზღვის გულში არ შეჰყოლია!
ვიჩქაროთ! ჩვენი ახალგაზრდობაც
თან გაიტაცეს, ასე მგონია! —

ვთქვი, მაგრამ ლალი
ცრემლშეუმშრალი
ამ აუწყობელ ნაბიჯს არ ენდო,
წყვილად ავყევით ბესიკის აღმართს,
რომ თავი ჩვენი ცალკე აგვენთო.

წყვილად ავყევით მთაწმინდისაკენ
ჯერ ქუჩას, შემდეგ რკინის ლიანდაგს
და უცებ ცაში ისე ავმაღლდით,
ორთავეს გული აგვიფრიალდა!

ძირს დარჩა თითქოს მთელი ცხოვრება
და ჩვენ კი ციდან, როგორც ფროსნები,
შორით ვუსმენდით სიცოცხლის გუგუნს,
გარინდებულნი ერთი ოცნებით!

დიდხანს ვისხედით ჩრდილში იქ,
დიდხანს,
დუმილით აბა რა უნდა მეთქვა?

ალალი სუნთქვა მესმოდა მხოლოდ
და საფეთქელის მალ-მალი ფეთქვა.

მზე და მთრთოლვარე ფოთლების
ჩრდილი
ხან აჩნდა თმებზე და ხან ქრებოდა...
თქვენ გაჰკიცხავდით ისეთ მარჯვენას
ამ თმებს რომ აღარ მოჰფერებოდა!

სულგანაბული წუთები თვითონ
ხომ იცით, ხოლმე, როგორებია! —
მაგრამ იქ ვიჯექ და თუ ოდესმე
მხიბლავდნენ, — მე არ მომგონებია!

და ამ დროს ფეხზე წამოდგა ლალიც,
თითქოს გასწია ხელით ფიქრები, —
დამემშვიდობა და მითხრა მტკიცედ:
-- მე კვლავ არჩილის გულთან ვიქნები!

და უკვე მიკიბ-მოკიბულ ბილიკს
შერჩა უეცრად თქმული ქარაგმა, —
უსიტყვოდ, უხმოდ, უგულისკაროდ
გადაგვისროლა გაღმა ქალაქმა! —

დამემშვიდობა ლალი... შორიდან
შემომანათა თვალი ზედიზედ!
ჩვენს თავს

ჩვენ თვითონ გავშორდებოდით,
რომ მატარებელს არ გავეთიშეთ!..

ჩაუქრობელი ცეცხლის გუგუნი
გზას მიიკვლევდა ქედით — ქედამდი,
მე კი შუაგულ ქალაქში ვიდექ
და შორიდანაც ნათლად ვხედავდი:

შორეულ ცისქვეშ ცოცხლობს არჩილი
ცისფერ თვალების წამწამებშიაც!
მშობლიურ მთებში ცხოვრობს
არჩილი—
ახლა გზად გაჭრილ ნაპრალებშია!

მიჰქრის არჩილის სიცოცხლე,
დედას
დალალ-გაშლილი ლალი ხელს უწვდის...
უცდის ჭიშკართან მდგარი მოხუცი
მათ დაბრუნებას, ღიმილით უცდის.

და მე დავრწმუნდი, ჩემო კარგებო,
ქვეყნად არჩილის სწრაფი ცხოვრება
აქ ერთ შენობის ქვაშიაც ცოცხლობს
და ვით ჩუქურთმა, გვემახსოვრება.

ვით გამარჯვების უკვდავი სახე
ადგას მთაწმინდას ხელამართული —

ისე, ვით ერთხელ რვეულში ვნახე
მისივე ფანქრით გადახატული!

მე თუ ბადრი ვარ და ის არჩილი
რა ბედენა

* *

დაჩუმდა ბადრი. დაჩუმდა მაცნე.
და ისე, თითქოს ბინდ-ბუნდი ღრუბლის,
გადაღლილ ხელით უკვე უსიტყვოდ
გადაიწმინდა სიმაღლე შუბლის.

დაჩუმდა ბადრი. დათმო ამბავი.
და ევიწროვა ალბათ გარემო —
იფიქრა: ფარდის აწევით ისევ
ოთახს ცის შუქით გავახარებო...

და მართლაც, მართლაც, სიჩუმე ჭერქვეშ
შეძრწუნებული იყო სიმძიმით —
შინ როცა ისევ შემოანათა
თბილისმა შავ-შავ თვალთა ციმციმით.

რომელი წვიმა! რომელი მძაფრი
სიშმაგე კართან მოვარდნილ დელგმის!
უკვე ოცნებით თუ წარმოვიდგენ
მეც, ჩემს მღელვარე პოემის დევ-გმირს!

— ეჰეი, ბადრო, კვლავაც იმედი
არ გაგიმართლო — არა მგონია:
სადაც გავსულვარ — არჩილის გმინვა
მეც აჩრდილივით თან გამყოლია...

ჩემს გაბედულად გასროლილ რითმას
გაჰყავდი თერგის გაღმა-გამოღმა,
და სიტყვა თუმცა ყელს გიფხაჭნიდა,
ვით ყელის ძაფი განა ამოხმა —

განა ამწამშიც არ გაგამხნევებს,
განა სიავემ სძლია სიკეთე! —
ბადრო ამ ღამით; ამ სარკმელიდან
შენს დიდ ქალაქში გადაიხედე!

ყველა ის, ვისაც უყვარს ქვეყანა —
ყველა აქაა, და ყველა გისმენს
„თქვენი რომანის გმირი გახლავართ“ —
მეტყვის... „ვინაა?“ — რომ ვკითხო ვინმეს.

დღე ხვალინდელი თუ როგორ ფეთქავს —
იგრძნობს, ვინც ამ წიგნს დააყურადებს.

არა, ქრონიკად ჩასთვალონ არ მსურს —
ის მხოლოდ წარსულს არ ასურათებს!

მძვინვარე ომიც ხომ გამარჯვების
და სიჭაბუკის დასაწყისია —
თითო ჩვენგანი — სწრაფვაა თვითონ,
თითო ჩვენგანი — კალმის ღირსია!

დადგა მშვიდობა, მშვიდობა რაა —
თუ ერთმანეთი არ გვეყვარება!
არა... ამ ჭერქვეშ ძმობამ შეგვყარა
და არა წვიმის ნიაღვარებმა!

ვუმღეროთ ყოველ დღის გათენებას,
შემდგომ კი, როცა გავსცდებით ას წელს
მოვა სხვა ვინმე და ჩვენს ცხოვრებას
ერთ დამშვიდებულ სტრიქონით ასწერს.

მინდა მივმართო ყველა მშენებელ
მუშას, ინჟინერს, ხუროს, კალატოზს —
თუ ჩემზე უკეთ იცნობდა არჩილს
და ვცდები — მკაცრად გამეკამათოს!

თუ ჩემებრ უყვარს ბადრი, მიამბოს
ყველა ცდუნება როგორ დასძლია...
თქვას, როგორც ლალი —

ქარს ნაპერწკალი
ოცნებით საით გაუტაცნია!

ცვიოდა ციდან ჯავშნის ნალეწი
ციოდა. მხოლოდ სიკვდილს ციოდა...
ჩვენ კი ვუტევდით ელვა-მეხს,
მაინც
მზე ცეცხლის კვამლში ამოდიოდა...

რედაქტორი მურმან ქოიავა
მხატვ. რედაქტორი სპარტაკ ცინცაძე
ტექნიკური რედაქტორი მერი ლებანიძე
კორექტორი ლია არაბიძე.
გამომშვები ცარო ფირცხელანი

გადაეცა წარმოებას 26/III-75 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/VII-75 წ.
ქაღალდის ზომა 70×90 1/32, № 1,
ნაბეჭდი თაბახი 4,25
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3,31
უე 00412 ტირაჟი 5.000 შეკვ. № 1369
ფასი 45 კაპ.

გამომცემლობა „მერანი" რუსთაველის 42
თბილისი, 1975.

Карло Каладзе

Солнце вставало в диму пожарищ

Роман в стихах

(На грузинском языке)
Издательство «Мерани»
Руставели 42, Тбилиси 1975